დინმუხამეტოვი გალეი აფზალეტდინის-ძე—ნოვოშეშმინსკის ოლქი
იბრაჰიმოვა ხატიმა ახმეტზიანის ასული—ყაზანის სასოფლო ოლქი
მალცევი მიხეილ ვასილის-ძე—ბუგულმის ოლქი
მარდეევი ხუზი შაიმარდანის-ძე—ელაბუგის ოლქი
როზოვა ვერა ვასილის ასული—ლაიშევის ოლქი
სამარხანოვი ხაფია იდიათის-ძე—ტეტიუშის ოლქი
საფინა ფასახატ ზიგანშენის ასული—კუკმორის ოლქი
ტოკარევი დიმიტრი სტეფანეს-ძე—მენზელინსკის ოლქი
ხარჩევნიკოვა პრასკოვია ივანეს ასული—ყაზანის საქალაქო ოლქი
შარაფეევი საიდ მინგაზის-ძე—ჩისტოპოლის ოლქი

უდმურტეთის ასსრ

აფანასიევი იგორ მიხეილის-ძე—სარაპულის ოლქი
ბაიკოვა რაისა ნიკოლოზის ასული—გრახოვოს ოლქი
ბარდინა კლავდია პლატონის ასული—მოჟგის ოლქი
ვორონჩიხინი სიმონ ივანეს-ძე—კეზის ოლქი
ვოტინცევი ვასილ პეტრეს-ძე—ვოტკინსკის ოლქი
კალაშნიკოვი მიხეილ ტიმოთეს-ძე—იჟევსკის პასტუხოვის ოლქი
კორეპანოვა მარიამ ივანეს ასული—იარის ოლქი
სიმუხინა თამარ მათეს ასული—იჟევსკის პერვომაისკის ოლქი
სისოევი პეტრე პეტრეს-ძე—გლაზოვის ოლქი
ტებელკოვი ლეონიდე ალექსანდრეს-ძე — იჟევსკის ჟდანოვის ოლქი
ფიონინი სიმონ ივანეს-ძე—უვის ოლქი

ჩუვაშეთის ასსრ

აფანასიევი ილარიონ ათანასეს-ძე—ჩებოკსარის ოლქი
გორკინი ალექსანდრე თევდორეს-ძე—კანაშის ოლქი
ეფიმოვა ვერა გრიგოლის ასული—ურმარის ოლქი
ზაიცევი ვასილ ვასილის-ძე—ჩკალოვის ოლქი
ივანოვა მარიამ ივანეს ასული—ცივილსკის ოლქი
კუგუშევა ანა ვლადიმერის ასული—ჩებოკსარის სასოფლო ოლქი
კუპრიანოვა პელაგია ივანეს ასული—იბრესის ოლქი
მარტინოვი გრიგოლ ალექსის-ძე—ფურნარის ოლქი
პავლოვი იაკობ კუზმას-ძე—იადრინის ოლქი
პასტუხოვი ვასილ ლავრენტის-ძე—შუმერლის ოლქი
სადოვნიკოვი ნიკოლოზ გრიგოლის-ძე — ალატირის ოლქი

იაკუტიის ასსრ

ამოსოვი პეტრე ვასილის-ძე—ტატინსკის ოლქი
ანდრეევი ნიკიტა ვასილის-ძე—კოლიმის ოლქი
ბელჩუსოვა მატრონა ვლადიმერის ასული—მეგინოკანგალასის ოლქი
ბორისოვი სიმონ ზაქარიას-ძე—ნიურბის ოლქი
ბისტროვა კლავდია დიმიტრის ასული—იაკუტიის ოლქი
ვასილიევი სტეფანე ინოკენტის-ძე—ვილიუისკის ოლქი
გულიაევი პროკოფი ვასილის-ძე—ალდანის ოლქი
კონონოვი სიმონ კონსტანტინეს-ძე—ნამცის ოლქი
კორნილოვი ნიკოლოზ მიხეილის-ძე—იულეკმის ოლქი
პოდგაევსკი ვიტალი ვასილის-ძე—ალახ-იუნის ოლქი
პროტოდიაკონოვი ვასილ ანდრიას-ძე—ბულუნის ოლქი

ადიღეს ავტონომიური ოლქი

გერასიმოვი სერგი აპოლინარის-ძე—მაიკოპის საქალაქო ოლქი
კადე ჰალიდ ბათკერის-ძე—კრასნოგვარდეისკის ოლქი
ცანაში გოშსეხ მალახის ასული—ტახტამუკაის ოლქი
სუხორუკოვი იზოტ ნიკოლოზის-ძე—მაიკოპის სასოფლო ოლქი
ტოუჩეკი ნუხ ცუგის-ძე—კოშეხაბლის ოლქი

მთიანი ალტაის ავტონომიური ოლქი

გრიბი სტეპანიდა ივანეს ასული—მთიანი ალტაის ოლქი
სკულკოვი იგორ პეტრეს-ძე—შებალინოს ოლქი
ტუტკუშევი სიუნიუშ—უსტ-კანის ოლქი
ტუხტუბაევი ივანე ივანეს-ძე—ორგუდაის ოლქი
ტიუხტენევა ელენე სერგის ასული—ტუროჩაკის ოლქი

მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქი

ასადბეკოვა მეიშუგნონ—ხოროგის ოლქი
ბარატოვა კაბილიამო—ვანჩის ოლქი
დოდხუდოევი ნაზარშო—მურგაბის ოლქი
მულკამონოვი ჯიფონ—რუშანის ოლქი
პანოევი ატომამად—იშკაშიმის ოლქი

ებრაელთა ავტონომიური ოლქი

ბობირი ილია კალინის-ძე—ობლუჩიეს სასოფლო ოლქი
გოგლიძე სერგი არსენის-ძე—ობლუჩიეს საქალაქო ოლქი
გოლდენბერგი როზალია მიხეილის ასული—ბირობიჯანის ოლქი
კონსტანტინოვი გიორგი სტეფანეს-ძე — ლენინსკოეს სტალინის ოლქი
სიმონოვი პავლე ვასილის-ძე—სმიდოვიჩის ოლქი

მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი

აბრამოვი სედრაქ კარაპეტის-ძე—შუშის ოლქი
ავაქიანი ფირუზა პეტროსის ასული—მარტუნის ოლქი
აღაბაბოვი არშავირ ავეტისის-ძე—გადრუთის ოლქი
აკოფოვი ელიშე სიმონის-ძე—სტეფანაკერტის ოლქი
ამირხანიანი ამო აზიზის-ძე—მარდაკერტის ოლქი

ტუვის ავტონომიური ოლქი

დორჟულდაი მონღუშ ომბუ—ჩადანის ოლქი
ლავრენტიევა ანა პეტრეს ასული—შაგონარის ოლქი
ონდარი სერზე კარზოლის-ძე—ყიზილის საქალაქო ოლქი
ჩადამბა ლეონიდე ბარანძის-ძე—ყიზილის აღმოსავლეთი ოლქი
ჩიმბა ალექსანდრე მანიგის-ძე—ყიზილ-მაჟალიკის ოლქი

ხაკასეთის ავტონომიური ოლქი

გონჩარენკო სერგი სტეფანეს-ძე—შირის ოლქი
კოლპაკოვი ვლას ივანეს-ძე—უსტ-აბაკანის ოლქი
პირიევი ივანე ალექსანდრეს-ძე—აბაკანის ოლქი
ტიმოფეევი პეტრე ტიხონის-ძე—ჩერნოგორსკის ოლქი
შკიცკი დიმიტრი ანდრიას-ძე—ასკიზის ოლქი

ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი

ბულდიგინი ვალენტინ გრიგოლის-ძე — ჩერკესკის საქალაქო ოლქი
გედეგულოვი მუხაბ ბიდის-ძე—კუვის ოლქი
გრიცენკო ალექსანდრე ვასილის-ძე—იკონ-ხალკის ოლქი
იევლევი ვასილ ვასილის-ძე—ჩერკესკის სასოფლო ოლქი
შურდუმოვი ტალიბ უმარის-ძე—ხაბეზის ოლქი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

ვაცეკი ივანე პროკოფის-ძე—ზნაურის ოლქი
იმნაძე აკაკი გაბრიელის-ძე — სტალინირის საქალაქო ოლქი
კულუხოვი ილია დავითის-ძე—ჯავის ოლქი
სანაკოევა თამარ თევდორეს ასული—სტალინირის სასოფლო ოლქი
ტეხოვა მარიამ იორდანეს ასული—ლენინგორის ოლქი

ნაციონალური ოკრუგები

ბოლდონოვა ქსენია აპოლონის ასული—უსტ-ორდის ბურიატ-მონღოლეთის ოლქი
ველო ალექსანდრე მაქსიმეს-ძე—იამალ-ნენეცთა ოლქი
გუდირევი ათანასე ნიკოლოზის-ძე—ნენეცთა ოლქი
მაჟიევი ბალჟინიმ — აგინსკის ბურიატ-მონღოლეთის ოლქი
მეხონოშინი ათანასე პეტრეს-ძე—კომი-პერმიაკთა ოლქი
ობუხოვი მაკარ მიხეილის-ძე—კორიაკთა ოლქი
ოტკე—ჩუკოტკის ოლქი
პანიუკოვი ალექსანდრე ალექსის-ძე—ტაიმირის ოლქი
პუხლენკინა ქიონია პეტრეს ასული—ხანტი-მანსის ოლქი
უვაჩანი ვასილ ნიკოლოზის-ძე—ევენკთა ოლქი

სამხედრო საარჩევნო ოლქები

ბიგანენკო ნიკიფორე ილიას-ძე
გოვოროვი ლეონიდე ალექსანდრეს-ძე
ჟიგარევი პავლე თევდორეს-ძე
ლიუდნიკოვი ივანე ილიას-ძე
მალინინი მიხეილ სერგის-ძე
პიგურნოვი ათანასე პეტრეს-ძე
სვირიდოვი ვლადიმერ პეტრეს-ძე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

1950 წლის 14 მარტი.

ვიბრძოლოთ მზარდი საწარმოო მაჩვენებლებისათვის

გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში მესამე სამკერვალო საამქრო ერთადერთია, რომელიც სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას ყველა საწარმოო მაჩვენებლის მიხედვით. ამ საამქროს მუშაობის გამოცდილება ბევრის მაჩვენებელია ფაბრიკის დანარჩენ საამქროთათვის. შრომის სწორი ორგანიზაცია, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა, შრომაში დაწინაურებულთა წახალისება, წარჩინებულ სტახანოველთა გამოცდილების სხვებისათვის გაზიარება და წარმოებაში მუშაობის ახალი მეთოდების დანერგვა—აი რას მიაქციეს ამ საამქროში მთავარი ყურადღება.

საამქროს უფროსის რ. ნიკოლეიშვილის უნარიანი ხელმძღვანელობით ფეხსაცმლის მკერავთა ამ მოწინავე კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი — 11 მარტისათვის გეგმის გადამეტებით დაამზადა 2.300 წყვილი ფეხსაცმელი, დაზოგა დიდძალი მასალა და გამოუშვა გეგმაზე 8,4 პროცენტით მეტი პირველი ხარისხის პროდუქცია.

საამქროში მოწინავეა მეექვსე საწარმოო ნაკადი, რომელიც მამაკაცის რანტიან ფეხსაცმელს უშვებს. ეს ნაკადი გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად 100-150 წყვილ ფეხსაცმელს კერავს. ნაკადის ის უბანი, რომელსაც წარჩინებული სტახანოველი, ოსტატი არჩილ ბუგიანიძე ხელმძღვანელობს, გეგმას სისტემატურად 110-115 პროცენტით ასრულებს და 90 პროცენტ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს. არჩევნების შემდგომ დღეებში უბანმა განამტკიცა მოპოვებული მიღწევები და კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი. 14 მარტს დილის 11 საათისათვის მან 100 წყვილით იმაზე მეტი ფეხსაცმელი გამოუშვა, რაც გრაფიკით იყო გათვალისწინებული, ამასთან 95 პროცენტამდე გაზარდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. ამ უბნის საამაყო ადამიანია სტახანოველი მარო მამაცაშვილი, რომელიც საწარმოო დავალებას მუდამ სამმაგად ასრულებს. გეგმებს 250 პროცენტით ასრულებენ გადამჭიმავი რ. მეხატიშვილი და ფეხსაცმლის გამომყვანი შ. ხორიაშვილი.

კარგად მუშაობს მეხუთე საწარმოო ნაკადიც. ამ ნაკადში ხუთიოდე თვეა სამუშაოდ მოვიდნენ ახალგაზრდა მუშები რეზო მაისურაძე და მარო პარანიანი. მათ მოკლე ხანში ჩინებულად შეისწავლეს ხელობა და არჩევნებისათვის მზადების პერიოდში გეგმას 180-190 პროცენტით ასრულებდნენ.

საამქროში მარტის დასაწყისიდან შეუდგნენ 8 ფერის ქალის საზაფხულო ფეხსაცმლის გამოშვებას ქსოვილის ზედაპირით. ახლა აქ ყოველდღე 1.800 წყვილ ასეთ ფეხსაცმელს ამზადებენ.

ფაბრიკის ხელმძღვანელებმა უნდა შეძლონ ამ საამქროს გამოცდილების გადატანა ყველა საწარმოო უბანზე.

სამშენებლო ხის დეტალთა ოსტატები

თბილისის კუიბიშევის სახელობის ხის დამმუშავებელი ქარხნის კოლექტივი მშენებელთათვის ამზადებს უმნიშვნელოვანეს სამშენებლო დეტალებს — კარ-ფანჯრის ჩარჩოებსა და პარკეტს. ამ დეტალთა გამოშვების თებერვლის დავალება ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა. არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ამწყობი საამქროს ის ბრიგადა, რომელსაც ა. მესხი ხელმძღვანელობს. 12 მარტისათვის ნაკისრი ვალდებულება ბრიგადამ 284 პროცენტით გაანაღდა. კარგ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია მეორე ბრიგადამაც, რომელსაც პ. დანილენკო ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადები დიდი წარმატებით განაგრძობენ მუშაობას და სისტემატურად მზარდ მაჩვენებლებს აღწევენ.

სამშენებლო ხის დეტალთა დამამზადებელ სტახანოველთაგან არჩევნების დღისათვის ნაკისრი ვალდებულებები შეასრულეს ამწყობმა ი. გვიანაშვილმა 303 პროცენტით, ზეინკალმა მ. გრიშჩენკომ — 297 პროცენტით, დამამზადებელი საამქროს მუშამ ვ. ჯანიაშვილმა — 252 პროცენტით და დურგალმა შ. ექიზაშვილმა — 223 პროცენტით.

ახალი მარკის პაპიროსი

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივმა არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ, საამაყო წარმატებებს მიაღწია: იანვრიდან 12 მარტამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვა 25 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ნახევარფაბრიკატების გამომშვები და პაპიროსის დამტენი საამქროები, რომლებსაც ი. ძევაშვილი და ე. დევდარიანი ხელმძღვანელობენ. ამ საამქროებმა არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი 10 პროცენტით გადაჭარბებით შეასრულეს. თამბაქოს საამქროს სტახანოველმა მ. ზედგინიძემ დავალება 183,5 პროცენტით შეასრულა, ჰილზების დამამზადებელ აგრეგატებზე მომუშავეებმა ე. სალარიძემ და მ. ჯავახიშვილმა —113 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა აითვისა ორი უმაღლესი ხარისხის მარკის პაპიროსის „ელიტისა“ და „კავკასიონის“, აგრეთვე სიგარეტ „ასტრას“ გამოშვება. პაპიროსებმა და სიგარეტებმა დეგუსტატორ სპეციალისტთა მაღალი შეფასება მიიღეს.

ამჟამად ფაბრიკაში მუშაობენ უფრო ახალი მარკის მაღალხარისხოვანი პაპიროსის ასათვისებლად.

მზად არ არიან ხვნა-თესვის საუკეთესოდ ჩატარებისათვის

საგარეჯოს რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში დაწყებულია საგაზაფხულო ხვნა-თესვა. 10 მარტისათვის უკვე დათესილია 110 ჰექტარი. ტრაქტორისტები ალექსი კორღანაშვილი, სოლომონ დიღმელაშვილი, თენგიზ ზალიკაშვილი და სხვები სამუშაოთა ნორმებს წარმატებით ასრულებენ. საგარეჯოს მტს-მა (დირექტორი ამხ. ვ. კაპანაძე) საგაზაფხულოდ უკვე შეაკეთა გეგმით გათვალისწინებული 38 ტრაქტორი, მოამზადა აგრეთვე სათესები, გუთნები, კულტივატორები, მოიმარაგა საწვავ-საპოხი მასალები. მტს-ი უზრუნველყოფილია კადრებით. მაგრამ მტს-ს ორცვლიანი მუშაობისათვის აკლია სათადარიგო ნაწილები: საკისრები, ცილინდრები, წამყვანი თვლები, შიგნითა და გარეთა დოლები და სხვ., სულ 13 სახელწოდების ნაწილები, რომელთა დამზადება ადგილობრივად არ ხერხდება. მტს-ში ასევე საჭიროა სულ მცირე 30 კომპლექტი ფარცხი „ზიგზაგი“ როგორც საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის, ისე გეგმით გათვალისწინებული 1.100 ჰექტარი საშემოდგომო ჯეჯილის დასაფარცხავად.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მხრივ ცალკეულ კოლმეურნეობებში ყველაფერი როდია რიგზე. პატარძეულის—კიროვის, უჯარმის — ბაქრაძის, საგარეჯოს—ბერიას, გომბორის — მახარაძის, კრასნოგორკის — ჩარკვიანის, ბოჭორმის — სტალინის, ამავე სოფლის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობებს რემონტის გეგმა მხოლოდ სანახევროდ აქვთ შესრულებული. მარტო პატარძეულის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა ვ. მუჩიაური, შეუკეთებელია 6 გუთანი.

რაიონში დაუმთავრებელია ტრიერებისა და სათესების რემონტიც. ტრიერები შეუკეთებელი აქვთ სოფელ უჯარმის ბაქრაძის და ანთოკის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებს, ხოლო სათესები—პატარძეულის ლენინისა და კრასნოგორკის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებს.

საკმაო რაოდენობით არის რაიონში კარტოფილის თესლი, მაგრამ მისი გადაცვლა მოუგვარებელია. ამიტომ ცალკეულ კოლმეურნეობებს აკლიათ 1.000-მდე ცენტნერი კარტოფილის თესლი. სოფელ ანთოკის ცხაკაიას და მუღანლოს ბაგიროვის სახელობის კოლმეურნეობებს კარტოფილის თესლი სრულებით არ გააჩნიათ. სართიჭალის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში აკლიათ 23 ტონა კარტოფილის თესლი, საგარეჯოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 12 ტონა, უჯარმის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში—9 ტონა.

უარესი მდგომარეობაა მრავალწლიანი ბალახის თესლის მომარაგების მხრივ. 12 კოლმეურნეობას ესპარცეტის თესლი არ მოეპოვება. მარტო თოხლიაურის კოლმეურნეობა „სოფლის წყაროში“, სადაც თავმჯდომარეა ალ. ფოჩიანი, არ გააჩნიათ 15 ცენტნერი თესლი, ჩაილურის—ორჯონიკიძის, მანავის—ბერიას და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში — ათ-ათი ცენტნერი თესლი.

კოლმეურნეობებს ყველა საშუალება გააჩნიათ იმისათვის, რომ საკმაო რაოდენობით მოიმარაგონ ბოსტნეულისა და ბალჩეულის თესლი, მაგრამ არც ეს შესაძლებლობა არის გამოყენებული. მათ ბევრი აკლიათ კომბოსტოს, ხახვის, სტაფილოს, საქონლის საკვები ჭარხლის თესლი. მარტო ხახვის თესლი შესაძენია 220 კილოგრამი, ხოლო საქონლის საკვები ჭარხლისა — 2.600 კილოგრამი.

ცალკეული კოლმეურნეობები არსებული თესლის გაწმენდისა და კონდიციამდე აყვანისთვისაც არ იწუხებენ თავს. პურეულის 2.340 ცენტნერი თესლიდან 278 ცენტნერი კვლავ გაუწმენდავია. მუღანლოს ბაგიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 55 ცენტნერი შვრიის თესლი მთლიანად დანაგვიანებულია. თესლის გაწმენდაში ასევე ჩამორჩნენ სოფელ ქაქის ვაჟა-ფშაველას, უჯარმის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობები.

დიდი ჩამორჩენაა ადგილობრივი სასუქების მინდვრად გატანაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ახლა სოფლებში ყველგან ბევრია გამოუყენებელი მუშა-საქონელი, ნაკელიც დაგროვილია, მისი გამოყენებისათვის თავს ნაკლებად იწუხებენ. გეგმით გათვალისწინებული 50.000 ურმიდან ნაკვეთებში გატანილია მხოლოდ 2 ათასამდე ურემი ნაკელი. რაიონის კოლმეურნეობათა ნახევარზე ბევრად მეტს ეს სამუშაო არც კი დაუწყია. მარტო საგარეჯოს ბერიას და პატარძეულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში გაუტანელია 2.500-2.500 ურემი ნაკელი.

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობათა ნაწილში შარშან ხვნა-თესვის გაჭიანურების და საერთოდ აგროწესების დარღვევის გამო სანახევროდაც არ შესრულებულა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გეგმა. ასე მოხდა, მაგალითად, პატარძეულის, ანთოკის და სხვა კოლმეურნეობებში. მსგავსი ფაქტები წელს რომ არ განმეორდეს, აუცილებელია დროზე გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა.

ტ. თოდრაძე
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

რა უშლის ხელს ხოზის მტს-ის მუშაობას

ეს მტს-ი 1931 წლიდან არსებობს. უკანასკნელ წლებში გაფართოვდა სატრაქტორო პარკი. ყოველწლიურად სახავენ მტს-ის ტექნიკური ბაზის — სახელოსნოს მექანიზაციის გეგმებს, მაგრამ ეს გეგმები დღემდე მხოლოდ ქაღალდზე რჩება. სახელოსნო პრიმიტიული წესით განაგრძობს მუშაობას. აქ ფარდულები არა აქვთ, ამიტომ ტრაქტორები და სხვა იარაღ-მანქანები მინდვრად ყრია და იჟანგება. მტს-მა შარშან სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა მხოლოდ 73 პროცენტით შეასრულა. ამის გამო, ცხადია, რემონტისათვის ნაკლები ანარიცხები მიიღეს. სახელოსნოში დაზგები აქვთ, მაგრამ მექანიზებულად ვერ ამუშავებენ და ტრაქტორების ყოველი ნაწილის სარემონტოდ ხან ცხაკაიას, ხან აბაშის მტს-ების სახელოსნოებში გარბიან. ეს იწვევს რემონტის ხარჯების დიდად გაზრდას. 1949 წელს რემონტზე გადახარჯულია 7.660 მანეთი.

სახელოსნოს მოუწყობლობა აფერხებს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმების შესრულებას. მინდვრად მუშაობის დროს ტრაქტორის რომელიმე ნაწილის დაზიანებისას ხობის მტს-ის მუშაკებს უხდებათ ცხაკაიაში ჩასვლა, ამის გამო ტრაქტორი ხშირად 4-5 დღეს ცდება. მტს-ში კადრების მხრივაც არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. „სტზ“ მარკის 3 ტრაქტორი გაჩერებულია იმის გამო, რომ არა ჰყავთ ტრაქტორისტები. ახლახან მტს-ში მიიღეს მოტოკულტივატორები, მაგრამ საამისო კადრები არ ჰყავთ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მტს-ს, რათა მან დროულად გამოასწოროს აღნიშნული ნაკლოვანებანი და მოწინავეთა რიგებში ჩადგეს.

ნ. ჯანჯღავა
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

დათესილია 3.317 ჰექტარი

რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში გაჩაღდა პურეულისა და სხვა კულტურების თესვა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 10 მარტისათვის საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო სულ 3.317 ჰექტარი. მათ შორის ბოსტნეული დათესილია 253 ჰექტარი. მრავალწლიანი ბალახები — 156 ჰექტარი, მზესუმზირა — 614 ჰექტარი.

ყვარლის რაიონში საგაზაფხულო კულტურები დათესილია 974 ჰექტარი, თეთრი წყაროს რაიონში — 326 ჰექტარი, ახმეტის — 258, სიღნაღის — 411, თბილისის — 416, ბოლნისის — 300, მცხეთის რაიონში — 120 ჰექტარი. თესვას შეუდგნენ აგრეთვე ლაგოდეხის, საგარეჯოს, მარნეულის, გარდაბნის, თელავის, გურჯაანის, კაჭრეთის და სხვა რაიონები.

იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი

ქარელი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად იზრდება მოსავლიანობა და პროდუქტების წილი შრომადღეებზე ქარელის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. გასულ წელს კოლმეურნეობაში მარცვლეული კულტურებისა და შაქრის ჭარხლის კარგი მოსავალი მიიღეს. კოლმეურნე ნ. გაგლოშვილის ოჯახმა, რომელიც სამი წევრისაგან შედგება, გამოიმუშავა 1.030 შრომადღე და კოლმეურნეობიდან მიიღო 874 კილოგრამი ხორბალი, 5.660 კილოგრამი სიმინდი, 206 კილოგრამი ლობიო, 154 კილოგრამი ქერი, 276 კილოგრამი შაქარი და ფულად 8.950 მანეთი.

ამავე კოლმეურნეობის წევრმა რ. ვახტანგიშვილმა გამოიმუშავა 700 შრომადღე და მიიღო 5.695 კილოგრამი მარცვლეული, 338 კილოგრამი შაქარი და 6.870 მანეთი ფული.

სესხი კოლმეურნეობებს

თელავი. (საკ. კორ.). საწარმოო საშუალებათა გასადიდებლად თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა გასულ წელს სახელმწიფოსაგან სესხად მიიღეს 1.061.200 მანეთი. აქედან მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად დახარჯულია 400.000 მანეთი, მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის — 310.000 მანეთი, ელექტროფიკაციისათვის — 251.000 მანეთი და ა. შ.

სოფელ ვანთის კოლმეურნეობა „ჩვენს იმედს“ 152.000 მანეთი სესხი მიეცა, ფშაველის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას — 112.000 მანეთი.

„მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციის ეროვნულ ყრილობაზე

პარიზი, 12 მარტი. (საქდესი). „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციის ეროვნულ ყრილობას, რაც დიდი აღფრთოვანების ატმოსფეროში მიმდინარეობს, ესწრება 8.000 დელეგატი, რომლებიც ჩამოსული არიან საფრანგეთის ყველა დეპარტამენტიდან და ფრანგი მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენებს წარმოადგენენ.

გუშინდელ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა 25-ზე მეტმა დელეგატმა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა ბრძოლა ვიეტნამში ომის დაუყოვნებლივ შესაწყვეტად, მშვიდობის მომხრეთა რიგების განსამტკიცებლად, რათა წინააღმდეგობა გაეწიოს ცდებს — უთანხმოება შეიტანონ მშვიდობის დაცვის მოძრაობაში და მით დაასუსტონ იგი.

„პროგრესულ ქრისტიანთა კავშირის“ სახელით სიტყვები წარმოთქვეს დელეგატებმა სტერნმა და პიერ დებრემ და ამხილეს ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც საფრანგეთში მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ წარმოებს.

ჩვენ, თქვა სტერნმა, კომუნისტებს გვიწოდებენ იმისათვის, რომ გავიმწვა შეიტანონ მშვიდობის მომხრეთა რიგებში, მაგრამ კათოლიკეები უპასუხებენ, ეს ჩვენი შეურაცხყოფა არ არის. ჩვენ არ შეურაცხგვყოფს ის გარემოება, რომ გვაკუთვნებენ იმ პარტიის სახელს, რომლის 75.000 წევრი დაიღუპა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. პირიქით, ჩვენ ვამაყობთ ამით. მოსყიდული პრესის სიცრუე და ცილისწამება ჩვენს წინააღმდეგ წარმოადგენს იმათდამი სიძულვილის გამოხატულებას, ვინც მშვიდობისათვის იბრძვის.

შემდეგ ილაპარაკეს ქალებმა, რომელთა შვილები დაიხოცნენ ვიეტნამის ომში. ყრილობამ დუმილით სცა პატივი იმ ფრანგი ჯარისკაცების ხსოვნას, რომლებიც დაიღუპნენ იმათი ინტერესებისათვის, ვინც კოლონიური ომით მდიდრდება. ქალებმა გამოთქვეს თავიანთი მტკიცე ნება — ყველა საშუალებით იბრძოლონ ვიეტნამში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის, ვიეტნამიდან საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის გამოწვევისათვის.

ვარის დეპარტამენტის დელეგატმა განაცხადა, რომ 22 დეკემბრიდან ტულონის ვაგზალში ვიეტნამში ომისა და საომარი მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად რკინიგზელებმა 35-ჯერ შეწყვიტეს მუშაობა.

გუშინ აგრეთვე მუშაობდნენ კომისიები, რომლებიც რეზოლუციის ტექსტებს ამზადებდნენ.

ალბანეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომუნიკე

ტირანა, 13 მარტი. (საქდესი). გამოქვეყნდა ალბანეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი შინაარსის კომუნიკე:

„ცენტრალურმა კომიტეტმა 1950 წლის 20, 21, 22 თებერვლისა და 6 მარტის პლენუმებზე გადაწყვიტა თავისი რიგებიდან გარიცხოს ცენტრალური კომიტეტის წევრები აბედინი, ჩეჩო და ნაიზი ისლამი, რომელიც გარიცხულია აგრეთვე პარტიიდან, და ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ჩიუტური კოლეზი ანტიპარტიული და ტროცკისტული საქმიანობისათვის, რაც ზიანს აყენებს პარტიის, ხალხისა და სახალხო რესპუბლიკის ინტერესებს.

მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის წევრობიდან ნეჯიპ ვინჩანის გარიცხვის შესახებ სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეობაში მის მიერ დაშვებული დიდი შეცდომებისა და დანაშაულისათვის“.

ბელგიაში მეფის დაბრუნების საკითხზე გამართული რეფერენდუმის ოფიციალური შედეგი

ბრიუსელი, 13 მარტი. (საქდესი). ბელგიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მეფის დაბრუნების საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგი.

რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 5.236.740 კაცმა, ე. ი. 200 ათასით ნაკლებმა, ვიდრე 1949 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ლეოპოლდის დაბრუნებას ხმა მისცა 2.933.382 კაცმა, ანუ 57,7 პროცენტმა, წინააღმდეგ — 2.151.881, ანუ 42,3 პროცენტმა, არანამდვილი და შეუვსებელი აღმოჩნდა 151.477 ბიულეტენი.

გარდაიცვალა მწერალი ჰენრიხ მანი

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სანტა-მონიკიდან (კალიფორნია) იუწყება, 12 მარტს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა მწერალი ჰენრიხ მანი.

იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 12 მარტი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ავანტი“ იუწყება, რომში შედგა იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მოხსენება პოლიტიკურ საკითხებზე გააკეთა პარტიის მდივანმა პიეტრო ნენიმ, ორგანიზაციულ საკითხებზე — როდოლფო მორანდიმ, ადმინისტრაციულ საკითხებზე — ორესტე ლიცადრიმ.

თავის მოხსენებაში ნენიმ თქვა, რომ 1950 წელს პარტიის წევრთა ახლახან დამთავრებული ხელახალი რეგისტრაციის ცნობებით, სოციალისტური პარტიის წევრთა რაოდენობა 655.818 კაცამდე გადიდდა.

იტალიის სოციალისტური პარტია, — თქვა ნენიმ, — აღმავლობას განიცდის. „იგი იმკის იმ გაბედულების ნაყოფს, რომლითაც იცავდა თავის პოზიციებს, იბრძოდა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, თავის რიგებში კლასობრივი თვითშეგნებისა და დისციპლინის განსამტკიცებლად“. ნენიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალისტური პარტიის წინაშე დასახულია ამოცანა „პარტიის ყოველი წევრი გადააქციოს მოწინავე მებრძოლად და ამ მებრძოლთაგან აღზარდოს კადრები, რომელთაც უნარი ექნებათ უხელმძღვანელონ ჩვენი ბრძოლის ახალ, უფრო გადამწყვეტ ეტაპს“.

შემდეგ ნენიმ აღნიშნა, რომ იტალიის სოციალისტური პარტიის მიერ მოპოვებული წარმატებანი მოწმობენ და ასახავენ იტალიელ სოციალ-რეფორმისტთა ნაშთების გამთიშველი პოლიტიკის ჩაფუშვას, რომლებიც ამჟამად გართული არიან თავიანთ საკუთარ რიგებში სასცილო დავითა და შუღლ-შემოხლით. ნენიმ აღნიშნა, რომ იტალიის სხვადასხვა მემარჯვენე-სოციალისტური პარტიებისა და ჯგუფების კრიზისი დაკავშირებულია ევროპაში მემარჯვენე სოციალისტების საერთო კრიზისთან, როგორც ამას მოწმობენ ფრანგი სოციალისტების ბედი და არჩევნების შედეგი ინგლისში.

ნენი შეეხო იტალიის საშინაო მდგომარეობას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დე გასპერის ახალი მთავრობა იტალიელი ქრისტიანი დემოკრატებისათვის წარმოადგენს უკან გადადგმულ მორიგ ნაბიჯს, რომელიც მოასწავებს სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის შემდგომ გამწვავებას. ახალი მთავრობის პროგრამა და ამოცანები, თქვა ნენიმ, ჩამოყალიბებულია არა დე გასპერის ბუნდოვან საპროგრამო განცხადებაში, არამედ ამერიკის წარმომადგენელთა ჰოლანდის კომისიის მიერ შედგენილ ანგარიშში იტალიაში მარშალის გეგმის განხორციელების საკითხზე. ამ ანგარიშში ნათქვამია, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა კომუნისტებისა და სოციალისტების და ყველა თანმიმდევრული დემოკრატის წინააღმდეგ.

ნენიმ დაადასტურა სრული სოლიდარობა და მოქმედების ერთიანობა იტალიის სოციალისტურ პარტიისა და კომუნისტურ პარტიას შორის და აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ოპოზიცია დე გასპერის მთავრობისა და მისი ახლანდელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ნენიმ განაცხადა, რომ სოციალისტური პარტია სავსებით უჭერს მხარს იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ეკონომიკურ გეგმას, როგორც მონოპოლიებისა და მათი დამცველის დე გასპერის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა სოციალური ფენების ერთიანობის პლატფორმას. სოციალისტური პარტიის ძირითადი ამოცანები უახლოესი თვეებისათვის შემდეგია: მიწისათვის ბრძოლა მიწების დაკავების გზით და ამავე დროს ბრძოლა სოფლის მეურნეობაში მუშახელის დაქირავების სავალდებულო ნორმის შემოღებისათვის, მიწის რეფორმის და მიწათსარგებლობისათვის ხელშეკრულებათა რეფორმის განსახორციელებლად; მუშათა ბრძოლა ფაბრიკებსა და ქარხნებში კლასობრივ მონაპოვართა დაცვისათვის, წარმოების შეკვეცის წინააღმდეგ, დათხოვნის წინააღმდეგ და მუშებისათვის სამუშაოს მაქსიმალურად მიცემისათვის; სახელმწიფო მოსამსახურეთა ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის; პენსიონერების, ინვალიდების — ომის მსხვერპლთა ბრძოლა უზრუნველყოფის მინიმუმისათვის; ბრძოლა მშვიდობისა და ნეიტრალიტეტისათვის მთავრობის მიერ ნაკისრ პოლიტიკურ და სამხედრო ვალდებულებათა წინააღმდეგ და მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის.

იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია

რომი, 13 მარტი. (საქდესი). გუშინ დამთავრდა იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოიწონა პარტიის გენერალური მდივნის ნენის მოხსენება და მიიღო პოლიტიკური რეზოლუცია. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „იტალიისა და იმ სხვა ქვეყნების საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავება, რომლებიც დასავლეთის ბლოკის შემადგენლობაში შედიან, წარმოადგენს იმ პოლიტიკის პირდაპირ შედეგს, რომელიც ამერიკის იმპერიალიზმმა უკარნახა მის იტალიელ და ევროპელ მოკავშირეებს, და იმ პოლიტიკისა, რომელიც ნავარაუდევია მესამე ომის მოსამზადებლად და მიმართულია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე ნაწილის წინააღმდეგ“.

რეზოლუცია ადასტურებს, რომ „ჩაიფუშა მარშალის გეგმა და დასავლეთის ბლოკის ორგანიზაციის სხვა ფორმები, აგრეთვე ყველა ცდა — შიგნიდან შეარყიონ სახალხო დემოკრატიის წყობილება“, და აღნიშნავს, რომ „დღეს ამერიკის მთავრობა და მასთან დაკავშირებული დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობანი სწრაფად მიექანებიან სამხედრო პოლიტიკის კონკრეტული ფაზის გზით, რათა ამრიგად სცადონ იმ კრიზისის გადალახვა, რომელიც ამ ქვეყნებს ღრღნის“.

„იტალიაში მთავრობის უმრავლესობა, რომელსაც ხალხი მხარს არ უჭერს, იძულებულია კვლავ გადადოს არჩევნები და ამავე დროს მიმართოს ძალადობის მეთოდებს და იმ ფენების წინააღმდეგ საგანგებო კანონების გამოცემის მუქარას, რომლებიც აუცილებელ სოციალურ და პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენენ ყოველგვარი რეფორმის განხორციელების დროს. ამ პირობებში ბრძოლა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გეგმის განხორციელებისათვის, მიწისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათა დასაცავად, აგრეთვე მუშების, გლეხებისა და მოსამსახურეების ბრძოლა არსებობის ძირითადი ადამიანური პირობებისათვის წარმოადგენს მშვიდობის, დემოკრატიისა და რესპუბლიკის დაცვის საქმეში შეტანილ უაღრესად კონკრეტულ წვლილს.

ამ დაცვის ორ განსაკუთრებით აქტუალურ ფორმას წარმოადგენს, ერთი მხრივ, ბრძოლა სამხედრო პოლიტიკის კონკრეტული ფაზის წინააღმდეგ, ესე იგი ბრძოლა იტალიაში ამერიკული იარაღის გადმოტვირთვისა და გადმოტანის წინააღმდეგ; მეორე მხრივ, ბრძოლა მთავრობის აშკარა განზრახვის წინააღმდეგ — დაადასტუროს და ძალაში დატოვოს ფაშისტური პოლიციური კანონები, თუმცა თვით მთავრობამ თავის დროზე აღიარა, რომ ეს კანონები არაკონსტიტუციურია“.

ცენტრალური კომიტეტი, — ნათქვამია დასასრულ რეზოლუციაში, — „ავალებს პარტიას უზრუნველყოს აქტიური მხარდაჭერა მშრომელთა იმ კატეგორიებისათვის, რომლებიც ბრძოლის ავანგარდში არიან, და მათს გარშემო გააერთიანოს ყველა სხვა კატეგორია და მთელი ხალხი“. ცენტრალურ კომიტეტს „მიაჩნია, რომ გლეხთა ბრძოლა დაუმუშავებელი მიწების დასაკავებლად წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას, რომელიც აგრარიებს აიძულებს დაეთანხმონ აგრარულ რეფორმას, რაც არა ერთგზის იყო დაპირებული“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო სხდომა

ბერლინი, 13 მარტი. (საქდესი). დღეს, 13 მარტს, ბერლინში შედგა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგანგებო სხდომა.

გერმანელი მწერლის ჰენრიხ მანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მთავრობამ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნავს ჰენრიხ მანის დიდ დამსახურებას გერმანელი ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე.

შემდეგ მთავრობამ გააკეთა განცხადება საფრანგეთის მიერ საარის ოლქის ანექსიის საკითხზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ეგრეთწოდებულ საარის შეთანხმებას ახასიათებს როგორც „გერმანელი ხალხის წინააღმდეგ დასავლეთ სახელმწიფოთა ძალადობის საშინელ აქტს“ და გადამწყვეტ პროტესტს აცხადებს ამ შეთანხმების წინააღმდეგ.

„გერმანელი ხალხი, — ნათქვამია განცხადებაში, — არ ცნობს და არასოდეს არ იცნობს გერმანიისაგან საარის ოლქის მოწყვეტას და მის ანექსიას საფრანგეთის იმპერიალიზმის მიერ“.

ფასების შემცირება ალბანეთში

ტირანა, 14 მარტი. (საქდესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, უკანასკნელ დროს ალბანეთში სასურსათო საქონლის ფასები შემცირდა. 1949 წლის დეკემბერთან შედარებით, ტირანის ბაზრებზე ფასები შემცირდა: რძის პროდუქტებისა — 23 პროცენტით, პურეულისა — 20 პროცენტით, ყველისა — 11 პროცენტით, კვერცხისა — 22 პროცენტით, კარტოფილისა — 5 პროცენტით და ბოსტნეულისა — 22 პროცენტით.

ა. ა. მინდაძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილება ალექსი ალექსის-ძე მინდაძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების შესახებ.

ა. მინდაძის სადისერტაციო შრომამ თემაზე „მასალები ტრავმული ეპილეფსიის შესწავლისათვის“ მაღალი შეფასება მიიღო საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლებისაგან. (საქდესი).

„ბერლინის დაცემა“ ქართულ ენაზე

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ დაიწყო ცნობილი ფილმის „ბერლინის დაცემის“ ორივე სერიის გახმოვანება ქართულ ენაზე.

როლებს ქართულ ენაზე ახმოვანებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ომიაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. დაუშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე.

„ბერლინის დაცემის“ ქართული ვარიანტის რეჟისორია ლ. ხოტივარი, ხმის ოპერატორი — ვ. დოლიძე.

ფილმი ეკრანზე გამოვა აპრილის შუა რიცხვებში.

მოსწავლეთა შეხვედრა სსრ კავშირის სახალხო არტისტ მ. ჭიაურელთან

ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში 14 მარტს საღამოს 4 საათზე შედგა შეხვედრა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ სტალინური პრემიის ლაურეატ სსრ კავშირის სახალხო არტისტ მ. ჭიაურელთან კინოფილმ „ბერლინის დაცემის“ დადგმასთან დაკავშირებით.

პიონერებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს კინემატოგრაფიის გამოჩენილ მოღვაწეს. მოხსენებებით გამოვიდნენ მოსწავლეები: ლ. მიქელაძე, მ. ანთაძე, ჯ. ქორქია, ვ. კანთელაძე და ც. კარბელაშვილი. კინოფილმის შესახებ შთაბეჭდილებებით გამოვიდნენ პიონერები: ჯ. მიქაძე, ნ. ზამბახიძე, ნ. ამირაჯიბი. ლექსით გამოვიდა ქალთა მეორე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე ი. გურგენიძე.

სიტყვებით გამოვიდნენ კინოფილმ „ბერლინის დაცემის“ მონაწილენი მსახიობი თ. ტატიშვილი და რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ჭიაურელი, რომელმაც პიონერებს მოუთხრო თავისი მუშაობის შესახებ.

სემინარი

16 მარტს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში შედგება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა თემაზე: **„ქვეყნები სახალხო დემოკრატიის ქვეყნები სოციალიზმის გზაზე“.**

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

თეატრებში

15 მარტს: ოპერისა და ბალეტის — „ქეთო და კოტე“ (მე-2, აბ. მე-10 სპექტ.); რუსთაველის სახელობის — „ოთარაანთ ქვრივი“ (მე-13 აბ. მე-8 სპექტ.); მარჯანიშვილის სახელობის — „[illegible]“; გრიბოედოვის სახელობის — „ლიუბოვ იაროვაია“ (მე-15 აბ. მე-3 სპექტ.); [illegible]; მოზარდ მაყურებელთა ქართული — „[illegible]“ (35-ე აბ. 6 ს.); მოზარდ მაყურებელთა რუსული — „[illegible]“ (94-ე აბ. 3 ს., მე-80 აბ. 7 ს.); თოჯინების ქართული — „[illegible]“ (11 ს.), „[illegible]“ (1, 4 ს.).

სასამართლო ქრონიკა

[illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 28 მარტს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **იულია ნიკოლოზის ასული ფარეშაშვილი** თემაზე: **„ორნახშირმჟავა სოდისა და ნოვოკაინის ხსნარების ნარევის საანესთეზიო თვისებების შესახებ“.** [illegible]

2. **ალექსანდრე იოანეს ძე** [illegible] თემაზე: **«Огнестрельные проникающие ранения живота, их некоторые осложнения и последствия».** [illegible]

დირექცია

[illegible]

ლუდის № 1 ქარხნის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. უზნაძეს მისი მამის **ნოე კონსტანტინეს-ძე უზნაძის** გარდაცვალების გამო.

გ. ტაბატაძე, დ. გიორგობიანი, მ. ბირაპეტოვა, ც. კობახიძე, რ. კვალიშვილი, გ. ქებულაძე, ქ. ბოკერია, მ. სოხაძე, ლ. [illegible] [illegible]

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, [illegible] კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, [illegible] მშენებლობისა — 3-80-83, [illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.